შპს „ოპტიმუსი“

ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N25-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.14.008.052) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში

თბილისი

2023 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
samSeneblo eqspertiza, proeqtireba, mSenebloba

ქ.თბილისი 07 აპრილი 2023 წ.

ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N25 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.14.008.052) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში

ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N25 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.14.008.052);

ობიექტის სტატუსი/ფუნქციური დანიშნულება - საპროექტო / მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - IVკლასი;

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;

ექსპერტიზის დამნიშნავი - ფიზიკური/იურიდიული პირი – შპს „ვაჟა-ფშაველა თაუერსი" ს/კ 404651015;

შემსრულებელი ექსპერტი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251) შპს „ოპტიმუსი"-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის გამოცდილება 13 წელი (2010 წლიდან), სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება - 38 წელი (1985 წლიდან).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N25 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.14.008.052) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში, შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია - 1) პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შენობის კონსტრუქციული ნაწილი, მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტოპო-გეგმა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1) სნ და წ. პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
2) სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები"
3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;

კვლევა – ჩემს მიერ, ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, მათზე რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ბუნებრივად მოსწორებული რელიეფის მქონე ზედაპირს, მიწის ნაკვეთს უშუალო მომიჯნავე მიწის ნაკვეთები მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება. ხოლო სამხრეთის მხირდან მისი მოსაზღვრეა საზოგადოებრივი სივრცე - ვაჟა-ფშაველას გამზირი.

მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების თანახმად ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიური პროცესები არ მიმდინარეობს. კვლევების ანგარიშის მიხედვით საკვლევ უბანზე გამოყოფილია შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელზეც ფუძნდება შენობა:

1. სგე 4 - ძირითადი ქანი ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5);

შენობა საძირკვლის მონოლითური რკ/ბეტონის ხიმინჯებით (d=1500მმ) ფუძნდება ფენა 5-ზე რომელიც მიღებულია ფუძეებად და ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით - სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე R_c=95,0 კგ.ძ/სმ^2, სიმკვრივე ρ=2,35გ/სმ3;

საპროექტო გადაწყვეტით, შენობა კონსტრუქციულად ოცდაჩვიდმეტსართულიანია მათ შორის ორი მიწისქვეშა სართულით. ის გეგმაში რთული მოხაზულობისაა. თვისობრივი კონსტრუქციული წყობით მიეკუთვნება ხისტკვანძებიან ჩარჩო-კავშირიან ტიპის ნაგებობათა რიგს, რომლის ვერტიკალურ მზიდუნარიანობას უზრუნველყოფს რკ/ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯოვანი საძირკვლები, შეკრული როსტვერკით და სივრცითი კარკასი ვერტიკალური და ჰორიზონტალური კონსტრუქციათა კავშირებით.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობისას მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, მომიჯნავე ობიექტებთან მიმართებაში ჩემს მიერ განხილულ იქნა ორი ვარიანტი, პირველი - უშუალოდ შენობის ზემოქმედება მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობები ფუძე-საძირკვლებზე და მეორე ვარიანტი მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე სამშენებლო პროცესში დინამიური დატვირთვებისგან მიყენებული შესაძლო ზეგავლენა. აღნიშნულ

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

დატვირთვებში იგულისხმება სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მათ შორის ქვაბულისთვის ან/და მისი ფერდოებისთვის ქანობების მოწყობის, მოედანზე სამშენებლო ტექნიკა/მანქანა-მექანიზმების გადაადგილება/მუშაობის და სხვ. აუცილებელია ყველა იმ მოსალოდნელი რისკების შეფასება, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მომიჯნავე ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე;

1. შენობის ზეგავლენა მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობე-ნაგებობებზე:

კვლევამ აჩვენა, რომ პროექტირებისას დაცულია სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები" მუხლი 11 თ.6 $P \leq R$, (6) სადაც, P საშუალო წნევის მნიშვნელობაა, კპა. R – გრუნტის სიმტკიცე, ფუძის დეფორმაციაზე გაანგარიშების პირობები, რაც გულისხმობს, რომ საშუალო წნევა საძირკვლის ძირზე უნდა იყოს ნაკლები, ან ტოლი ფუძის საანგარიშო წინააღობაზე (მოცემულ შმთხვევაში სიმტკიცეზე). მოცემულ შემთხვევაში შენობის წონისგან გამოწვეული მაქსიმალური ძაბვა ფუძეში R_z=4,0 კგ.ძ/სმ^2, რაც 23,75-ჯერ ნაკლებია ფუძის გრუნტის საანგარიშო სიმტკიცეზე - R_c=95,0კგ.ძ/სმ^2, ე.ი. პირობა დაკმაყოფილებულია. რაც ნიშნავს, რომ შენარჩუნებულია ფუძის მდგრადობა, ფაქტიურად წარმოქმნილია უკუმშვადი ფუძე. მისი დეფორმაციული მოვლენები ანულირებულია, რაც თავისთავად გამორიცხავს შენობიდან ნებისმიერი მანძილით დაშორებული - მიმდებარედ/მომიჯნავედ მდებარე ობიექტებზე, რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას, შენობის ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.

ჩემს მიერ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე საპროექტო შენობის 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების განხილვა მოხდა განცალკევებით. კერძოდ:

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.14.008.002 – მიწის ნაკვეთზე მდებარეობს ხუთსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, შესასწავლი საპროექტო შენობა მას სამხრეთიდან ესაზღვრება და საპროექტო შენობამდე მანძილი (იგულისხმება მიწისქვეშა ავტოფარეხების კონტური) 6,00-7,00 მეტრის ფარგლებშია. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლზე სამხრეთის ფასადის მხრიდან მოწყობილია ლოჯიების მიშენება ორ სართულზე - ნაგებობა N4/2, რომელიც სამშენებლო ქვაბულთან 2,00-3,00 მეტრის დაშორებითაა. სამშენებლო ქვაბულის ამ ნაწილში, ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად, ეწყობა ქვაბულის ფერდოებისა და მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის დამხშობი კონსტრუქცია-ინექციური ხიმინჯოვანი რიგი - ხიმინჯები დიამეტრით - d=1000მმ. h=15000მმ. (დაფუძნება ძირითად ქანებში) ბიჯი ხიმინჯებს შორის - 1200მმ. ხიმინჯის თავები შეკრულია როსტვერკით - 1000X500(h)მმ. აღნიშნული ხიმინჯოვანი რიგის მოწყობის შემდგომ შენარჩუნებული იქნება ქვაბულის ფერდოების მდგრადობა და ასევე მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენა ნულამდე იქნება დაყვანილი, როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი, ექსპლუატაციის ხანგრძლივ პერიოდში.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.14.008.009 – მიწის ნაკვეთზე მდებარეობს ხუთსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, შესასწავლი საპროექტო შენობა მას სამხრეთიდან ესაზღვრება და საპროექტო შენობამდე მანძილი (იგულისხმება მიწისქვეშა ავტოფარეხების

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

კონტური) 6,00 მეტრის ფარგლებშია. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლზე სამხრეთის მხრიდან მოწყობილია ავტოფარეხების რიგი - ნაგებობები N12/1,13/1,14/1,15/1,16/1,17/1,1,18/1 რომლებიც სამშენებლო ქვაბულთან 2,00-3,00 მეტრის დაშორებითაა. სამშენებლო ქვაბულის ამ ნაწილში, (ქვაბულის ჩაღრმავება -5,00-მია) ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად, ეწყობა ქვაბულის ფერდოებისა და მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის დამხშობი კონსტრუქცია-ინექციური ხიმინჯოვანი რიგი - ხიმინჯები დიამეტრით - d=1000მმ. h=15000მმ. (დაფუძნება ძირითად ქანებში) ბიჯი ხიმინჯებს შორის - 1200მმ. ხიმინჯის თავები შეკრულია როსტვერკით - 1000X500(h)მმ. აღნიშნული ხიმინჯოვანი რიგის მოწყობის შემდგომ შენარჩუნებული იქნება ქვაბულის ფერდოების მდგრადობა, ხოლო მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენა ნულამდე იქნება დაყვანილი, როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი, ექსპლუატაციის ხანგრძლივ პერიოდში.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.14.008.008 - მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება რვასართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომელიც საპროეტო ზონიდა 27,00-28,00 მეტრის მანძილით არის დაშორებული. მიწის ნაკვეთზე ყყველაზე ახლოს მდგომი შენობები-ავტოფარეხების რიგია, ნაგებობები N2/1, 12/1, 13/1, 8/1, 7/1, 6/1,9/1 და 4/1 რომლებიც სამშენებლო ქვაბულთან 2,00-3,00 მეტრის დაშორებითაა. სამშენებლო ქვაბულის ამ ნაწილში, (ქვაბულის ჩაღრმავება -5,00-მია) ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად, ეწყობა ქვაბულის ფერდოებისა და მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის დამხშობი კონსტრუქცია-ინექციური ხიმინჯოვანი რიგი - ხიმინჯები დიამეტრით - d=1000მმ. h=15000მმ. (დაფუძნება ძირითად ქანებში) ბიჯი ხიმინჯებს შორის - 1200მმ. ხიმინჯის თავები შეკრულია როსტვერკით - 1000X500(h)მმ. აღნიშნული ხიმინჯოვანი რიგის მოწყობის შემდგომ შენარჩუნებული იქნება ქვაბულის ფერდოების მდგრადობა, ხოლო მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენა ნულამდე იქნება დაყვანილი, როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი, ექსპლუატაციის ხანგრძლივ პერიოდში.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.14.008.001 - მასზე განთავსებულ სამსართულიან შენობაზე N1/3, რაიმე სახის ზეგავლენას გამოვრიცხავ, ქვაბულის ამ ნაწილში ეწყობა ავტოფარეხების მიწისქვეშა სართულები. ხოლო აღნიშნული ნაკვეთის გასწვრივ საპროექტო ქვაბულის საკადასტრო საზღვრებში ეწყობა ქვაბულის ფერდოს შემაკავებელი და მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის დამხშობი რკ/ბეტონის ხიმინჯოვანი რიგი.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.14.008.010 - ნაკვეთი საპროექტო არეალს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება, მასზე განთავსებულ ოთხსართულიან შენობაზე N1/4, რაიმე სახის ზეგავლენას გამოვრიცხავ, ქვაბულის ამ ნაწილში ეწყობა ავტოფარეხების მიწისქვესა სართულები. ხოლო აღნიშნული ნაკვეთის გასწვრივ საპროექტო ქვაბულის საკადასტრო საზღვრებში ეწყობა ქვაბულის ფერდოს შემაკავებელი და მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის დამხშობი რკ/ბეტონის ხიმინჯოვანი რიგი.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.14.008.011 – მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება რვასართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომელიც საპროეტო ზონიდა 27,00-28,00 მეტრის მანძილით არის დაშორებული. მიწის ნაკვეთზე ყყველაზე ახლოს მდგომი შენობები-ავტოფარეხების რიგია, ნაგებობები N2/1, 3/1 რომლებიც სამშენებლო ქვაბულთან 1,00-2,00

მეტრის დაშორებითაა. სამშენებლო ქვაბულის ამ ნაწილში, (ქვაბულის ჩაღრმავება -5,00-მია) ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად, ეწყობა ქვაბულის ფერდოებისა და მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის დამხშობი კონსტრუქცია-ინექციური ხიმინჯოვანი რიგი - ხიმინჯები დიამეტრით - d=1000მმ. h=15000მმ. (დაფუძნება ძირითად ქანებში) ბიჯი ხიმინჯებს შორის - 1200მმ. ხიმინჯის თავები შეკრულია როსტვერკით - 1000X500(h)მმ. აღნიშნული ხიმინჯოვანი რიგის მოწყობის შემდგომ შენარჩუნებული იქნება ქვაბულის ფერდოების მდგრადობა, ხოლო მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენა ნულამდე იქნება დაყვანილი, როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი, ექსპლუატაციის ხანგრძლივ პერიოდში.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.14.008.048 – ნაკვეთი წარმოადგენს სერვიტუტით დატვირთულ ბუფერულ ზონას, რომელზეც შენობა-ნაგებობები არ ფიქსირდება;

საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული სხვა შენობა ნაგებობები, საპროექტო შენობიდან 20,00 მეტრზე მეტი მანძილით დაშორების გამო, ჩემს მიერ არ განხილულა.

2.სამშენებლო პროცესის ზეგავლენა მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე:

სამშენებლო პროცესის ზეგავლენის განხილვისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შენობა დაგეგმარებულია ისე, რომ მოცემული მანძილებით მაქსიმალურადაა დაცული მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე შენობებზე დინამიური დატვირთვები - სამშენებლო მოედანზე მშენებლობაში ჩართული ტექნიკის მოძრაობა, მიწისქვეშა სართულების მოწყობისას ქვაბულის ფერდოებისთვის ხიმინჯების ბურღვის დროს გადაცემული დატვირთვები და ა.შ. გამომდინარე აქედან სამშენებლო პროცესის დროს რაიმე სახის ზემოქმედებას გამოვრიცხავ.

მიწის ნაკვეთზე შექმნილი პირობებიდან გამომდინარე ასევე გამოვრიცხავ ვაჟა-ფსაველას გამზირის სავალ ნაწილზე, რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225;** email:g.chankvetadze@optimusi.ge

დასკვნა - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N25 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.14.008.052) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება მიზანშეწონილად მიმაჩნია. ვინაიდან პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით მიწის ნაკვეთის სამ მხარეს ეწყობა ქვაბულის ფერდოების შემაკავებელი კონსტრუქცია, რომელიც ამადროულად მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე დაგეგმილი სამუშაოების ლოკაციის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე, 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე, უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა და ქვაბულის ფერდოები, მათთვის ინექციური ხიმინჯოვანი რიგის მოწყობის გარდა, რაიმე სახის სხვა სპეციალური ღონისძიებების გატარებას მშენებლობის პერიოდში არ საჭიროებენ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საპროექტო შენობის სამონტაჟო სამუშაოების დაწყებას ცალსახად დადებით რეკომენდაცია ეძლევა.

შპს „ოპტიმუსი“-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გ.ჭანკვეტაძე





საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225;** email:g.chankvetadze@optimusi.ge

საქართველოს რესპუბლიკა

დიპლომი № 010494



მიეცა გაიოზ გიორგის ძე
ჭანკვეტაძეს

მასზე, რომ ის 19 82 წელს შეიცდა საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტში

და 1994 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის სრული კურსი
საინჟინრო და საშოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის
16 ივნისის გადაწყვეტილებით
გ.გ. ჭანკვეტაძეს მიენიჭა ინჟინერ
მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ქალაქი თბილისი, 1994წ. 16 ივნ

სარეგისტრაციო № 1477

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი:	**გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251);**
დაბედების ადგილი/თარიღი:	ქ.თბილისი 07.12.1968 წ.
მისამართი:	ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული;
ტელ:	+995 595 90 22 25; +995 557 90 22 00;
E-mail	g.chankvetadze@gmail.com

განათლება

1974-1985 ქ.თბილისის 1-ლი საშ.სკოლა;
1986-1994 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფაკულტეტი - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; კვალიფიკაცია-მშენებელი ინჟინერი;

1999-2003 უნივერსიტეტი -„ლეგია და კომპანია“ იურიდიული ფაკულტეტი. კვალიფიკაცია - იურისტი;

სამუშაო გამოცდილება:

1985-1987 №5-ე სახლმშენებელი კომბინატი 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1987-1989 ყოფილი საბჭოთა კავშირის არმია, საინჟინრო ჯარები;

1989-1991 სამშენებლო ტრესტი „ინჟმშენი“ 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1991-1994 მრავალდარგოვანი საწარმო „პემ“-ი სამშენებლო უბნის უფროსი;

1995-1999 შპს „დარბაზნი“კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსი;

1999-2002 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია. მთავარი სპეციალისტი;

2003-2005 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი.

2005-2008 კერძო ბიზნესი - სამშენებლო-საპროექტო სფერო.

2006-2008 ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური - არქიტექტურული და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება. მთავარი სპეციალისტი;

2009 წლის იანვარი-მარტი - ქ.თბილისის, მერიის სამოქალაქო ინტეგრაციის (თბილისის კორპუსი) საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2009 წლის მარტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

2009 წლის მარტი - სექტემბერი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

2010 წლის მარტი - ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს სსიპ „თბილისი უძრავი ქონება“ - დირექტორი;

2009-2012 შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკის ცენტრი შპს „კრუგი“-ს მენეჯერი - ექსპერტი შენობა-ნაგებობათა დიაგნოსტიკის განხრით;

2012წ დღემდე საპროექტო-სამშენებლო-საექსპერტო კომპანია შპს„ოპტიმუსი“-ს დამფუძნებელი, დირექტორი;

2010 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაკვეთებით შესწავლილი მაქვს 900 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ტექნიკური, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. ამასთან თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კომპანია შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ დაპროექტებულ 800-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასის შენობების არქიტექტურული პროექტებისთვის მომზადებული მაქვს კონსტრუქციული ნაწილები.

თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაცემულია რამოდენიმე ასეული დასკვნა სადემონტაჟო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვ. სამუშაოების მიმდებარე შენობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული სისტემის საექსპერტო შეფასების შესახებ.

ჩემს მიერ, თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მე-4 კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური შენობების, კომპლექსების, სახელმწიფო უწყების შენობებისთვის პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
გაიოზი
GAIOZ
გვარი / LAST NAME
ჭანკვეტაძე
CHANKVETADZE
ქვეყ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01017024251
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
07.12.1968
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
07.06.2026
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
15IB72448


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2015
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE015IB72448801017024251<<<<
6812078M2606071GE0<<<<<<<<<<<9
CHANKVETADZE<<GAIOZ<<<<<<<<<<<

ქვაბულის გეგმა
ხიმინჯი
Ø100/120
ქვაბულის ძირი -9.40 (464.00)
▼ -1.250
▼ -2.600
▼ -3.400
▼ -5.000
5ქს
3ქს
საფეხბურთო მოედანი
№4
№5
h=3.00
d=200
h=2.94
d=300
d=800
h=3.01
h=2.53

ჭრილი 1-1



ბამონამუშევრების №№	ა		ჭაბ.№1	ჭაბ.№4	ა'
მიწის ზედაპირის ნიშნულები	472.60		471.40	469.80	469.50
მანძილი მ-ში		16.00	28.00	5.00	

ჭრილი 2-2



ჭაბურღილების №№	ბ	ჭაბ.№2		ჭაბ.№5	ბ1
მიწის ზედაპირის ნიშნულები	472.10	471.00		469.00	468.70
მანძილი მ-ში		15.50	27.60		4.40

ჭრილი 3-3



გამონამუშევრების №№	ბ	ჭაბ.№3	ჭაბ.№6	ბ
მიწის ზედაპირის ნიშნულები	471.60	470.30	468.80	468.50
მანძილი მ-ში		14.50	29.00	4.00

მონ. რ/ბ ხიმინჯის ხ-1-ის არმირება



ჭრილი 1-1



ლითონის სამონტაჟო ელემენტი ბიჯი 2000 მმ.



ჭრილი 2-2



მონ. რ/ბ ხიმინჯის ხ-1-ის არმირება

არმატურის სპეციფიკაცია					არმატურის ამოკრეფა					ბეტონი B 30
პოზ. №	Ø	L მმ.	n ცალი	Ln მ.	Ø	∑ Ln მ.	გრძივი მეტრის წონა კგ.	წონა კგ. A240	წონა კგ. A500C	V; $მ^3$
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	25 A500C	18000	16	288.00	8 A240	212.80	0.39	83.97		11.93
2	25 A500C	10000	16	160.00	14 A500C	12.00	1.21		14.50	
3	14 A500C	250	48	12.00	25 A500C	448.00	3.85		1726.31	
I	8 A240	-	-	212.80						
							∑	83.97	1740.81	11.93
						n= 138		11587.54	240231.81	1646.62
									152.93	კგ/$მ^3$

ლითონის სამონტაჟო ელემენტის სპეციფიკაცია

პოზ. №	მასალის დასახელება	მასალის კვეთი	L მმ.	n ცალი	Ln მ.	ერთეულის წონა; კგ	ჯამური წონა; კგ
1	2	3	5	6	7	8	9
3	ლითონის ფირფიტა	8 x 80	2500	6	15.00	5.02	75.36
						2% შედუღებაზე	1.51
						∑	76.87
					138	n=138	10607.67

რანდკოჭი რ-1



მონ. რ/ბ რანდკოჭის რ-1-ის სპეციფიკაცია

არმატურის სპეციფიკაცია					არმატურის ამოკრეფა					ბეტონი B 30
პოზ. №	Ø	L მმ.	n ცალი	Ln მ.	Ø	∑ Ln მ.	გრძივი მეტრის წონა კგ.	წონა კგ. A240	წონა კგ. A500C	V; $მ^3$
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	20 A500C	197000	16	3152.00	8 A240	4186.00	0.39	1651.73		85.50
I	8 A240	2300	1820	4186.00	20 A500C	3152.00	2.47		7773.32	
							∑	1651.73	7773.32	85.50
						n= 1		1651.73	7773.32	85.50
									110.23	კგ/$მ^3$